



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 30 ივნისი

**დისციპლინური საქმე №87/22  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

--- 2022 წლის 1 ივნისის №87 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 2 ივნისის №314/87-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით არაერთხელ წარადგინა სასამართლოში განცხადება საქმის დროულად განხილვის მოთხოვნით, თუმცა მიუხედავად ამისა მოსამართლე აჭიანურებს საქმის განხილვის ვადას. ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოპასუხე მხარე სარგებლობს ერთ-ერთი თანამდებობის პირის მფარველობით, რაც გახდა მოსამართლის მხრიდან საქმის გაჭიანურების მიზეზი.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რომლითაც იგი ითხოვდა მოპასუხე --- მიმართ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2018 წლის 7 ივნისს --- განცხადებით მიმართა --- სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. 8 ივნისს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მოსარჩელის განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე.

2018 წლის 22 ივნისს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხეების --- და --- მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

2018 წლის 24 ივლისს და 30 ივლისს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 24 აგვისტოს სასამართლომ მიიღო განჩინება მოპასუხისთვის დაზუსტებული შესაგებლისა და მტკიცებულებების წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ. 2019 წლის 25 სექტემბერს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 1 ნოემბერს მოსარჩელე მხარემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში. 2018 წლის 6 ნოემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება დაზუსტებული სარჩელის მიღებაზე ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ. კერძოდ, მოსარჩელეს უარი ეთქვა დაზუსტებული სარჩელის - მესამე და მეოთხე მოთხოვნების - თანხის დაკისრების და მოძრავი ნივთების მესაკუთრედ ცნობის ნაწილში. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, 5 დეკემბერს მოსარჩელე მხარემ კვლავ წარადგინა დაზუსტებული სარჩელი სასამართლოში.

2018 წლის 29 ნოემბერს -- -- სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

2018 წლის 5 დეკემბერს მოსარჩელე მხარემ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, სადაო უძრავ ქონებაში განთავსებულ მოძრავ ნივთებზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით განცხადება წარადგინა სასამართლოში. 6 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. ამავე დღეს სასამართლომ გამოსცა სააღსრულებო ფურცელი.

2018 წლის 10 დეკემბერს მოსარჩელე მხარემ მესამე სასარჩელო მოთხოვნის - ზიანის ანაზღაურების ნაწილში გამობმობის შესახებ შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში. 12 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ხოლო, 18 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება მოსარჩელისთვის ბაჟის დაბრუნების შესახებ.

2018 წლის 26 დეკემბერს მოპასუხე მხარემ დაზუსტებულ სარჩელზე შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2019 წლის 14 ივნისს და 2021 წლის 15 მარტს მოსარჩელე მხარემ მოპასუხის - -- -- დაუსწრებლად გადაწყვეტილების მიღებისა და საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის მოთხოვნით განცხადებები წარადგინა სასამართლოში.

2020 წლის 18 ნოემბერს, 2021 წლის 15 თებერვალს, 2 ივლისს და 2022 წლის 4 აპრილს მოსარჩელე მხარემ საქმის დროულად განხილვის მოთხოვნით განცხადებები წარადგინა სასამართლოში. ამასთან, 2021 წლის 19 მარტს მოსარჩელე მხარემ საქმეზე მტკიცებულების დართვის შესახებ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2021 წლის 17 თებერვალს, 18 მარტს და 15 აპრილს.

2021 წლის 19 მარტს მოსარჩელე მხარემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით განცხადება წარადგინა სასამართლოში. კერძოდ, მხარემ მოითხოვა 2018 წლის 6 დეკემბრის განჩინებით დადებული ყადაღის ქმედუნარიანობის გარკვევა და როგორც ამ მოძრავ ნივთებზე, ასევე, მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წვდომის დაშვება. 22 მარტს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე სასამართლომ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე მხარემ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის მოთხოვნით განცხადებები წარადგინა სასამართლოში. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განხილოს მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. მოპასუხებმა კი შესაგებელში მიუთითეს, რომ თანახმა არ იყვნენ, რომ სასამართლოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განეხილა.

რაც შეეხება, მოსარჩელე მხარის განცხადებას იმის შესახებ, რომ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მოპასუხის - - - მიმართ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლი დეტალურად განსაზღვრავს მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს. კერძოდ, მოპასუხის მიერ მითითებული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაკმარისი მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს. ამდენად, მოსამართლე უფლებამოსილია მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისას გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ არ მოხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალისწინებული შესაძლებლობის გამოყენება და ნების გამოვლენა. მოცემულ საქმეზე კი მოპასუხე - - - ორჯერ წარადგინა სასამართლოში შესაგებელი. ამასთან, - - - შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ მას გაუგრძელა ვადა დაზუსტებული შესაგებლისა და მტკიცებულებების წარსადგენად. მართალია მოპასუხემ არ ისარგებლა აღნიშნული შესაძლებლობით, თუმცა ეს არ წარმოადგენს მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას, რამდენადაც მხარემ წარდგენილი შესაგებლებით უკვე გამოავლინა საკუთარი ნება და აღნიშნა, რომ არ სცნობდა სასარჩელო მოთხოვნას.

შესაბამისად, მხარის შუამდგომლობების განხილვისას (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი) მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი განჩინების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შეწყდეს -- -- №87 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №87/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი  
დამოუკიდებელი ინსპექტორი